კლუბის სახელწოდება_Reading Club

კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მეილი):
ხელმძღვანელი _ ანა მანიჟაშვილი
ტელეფონი _ 593-17-90-60
მეილი _ manizhashviliana@gmail.com
კლუბის გაკვეთილების რაოდენობა: კვირაში 2 გაკვეთილი - ორშაბათი,ოთხშაბათი.
თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა: 50 წთ;
კლუბში გაწევრიანების წინაპირობა:მოსწავლის მოტივაცია და ინტერესი, ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ A 2 დონეზე
კლუბში გაწევრიანება შეუძლიათ V-VI კლასის მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა: მინიმალური - 6 მოსწავლე; მაქსიმალური - 12 მოსწავლე;

კლუბის მიზანი:კლუბის მიზანია მოსწავლეებში წიგნებისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივება და ენობრივი უნარების გაუმჯობესება. აქტივობები ხელს უწყობს კითხვის, მეტყველების, კომუნიკაციის, წარმოსახვისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ხოლო კითხვა აღიქმება როგორც საინტერესო და შთამაგონებელი გამოცდილება.

ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები: კლუბის მუშაობა ეფუძნება ინგლისურენოვანი ტექსტების კითხვასა და განხილვას, თამაშებზე და ინტერაქტიულ აქტივობებზე დაფუძნებულ სწავლებას. მოსწავლეები მონაწილეობენ ჯგუფურ დისკუსიებში, ავითარებენ ლექსიკურ მარაგს და ენობრივ თავდაჯერებულობას. თითოეული შეხვედრა აგებულია კონკრეტულ წიგნზე ან ტექსტზე, რომელიც მოსწავლეებს ეძლევათ წასაკითხად. შეხვედრის ფარგლებში მიმდინარეობს აქტივობები, როლური თამაშები და დისკუსია ტექსტის შესახებ.

წიგნების მაგალითები:

- Ladybird readers- Charlie and the chocolate factory
- The adventures of Tom Sawyer mark twain

ძირითადი რესურსები: კლუბის მუშაობისთვის გამოყენებული იქნება სათამაშო ბარათები, რეფლექსიის დღიურები და შემოქმედებითი და განმავითარებელი მასალები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სხვადასხვა სახის აღქმისა და სწავლის სტილის გათვალისწინებას.

კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები (მუშაობის პროდუქტის წარმოდგენის პერიოდი, ფორმა): მოსწავლეები დადგამენ მინი სპექტაკლს, რომელიც იქნება შერჩეული წიგნის ან ფილმის ეპიზოდზე დაფუძნებული და წარადგენენ კლასის წინაშე.

კლუბის ხელმძღვანელის მოკლე რეზიუმე (დანართი):

ანა მანიჟაშვილი არის თანამედროვე განათლების აკადემიის X კლასის მოსწავლე. იგი არის საკითხავი კლუბის („Reading Club“) ინიციატორი და დამფუძნებელი სკოლის ბაზაზე.

ანა აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და დაინტერესებულია წიგნების კითხვით, ტექსტების გააზრებითა და დისკუსიებში მონაწილეობით. მისი მიზანია კითხვის კლუბის მეშვეობით მოსწავლეებს შეუქმნას მეგობრული და საინტერესო გარემო, სადაც ისინი გაეცნობიან ახალ წიგნებს, განიხილავენ ტექსტებსა და ფილმებს და განავითარებენ კრიტიკული აზროვნების უნარებს.

ანა ფლობს ინგლისურ ენას და აქვს საერთაშორისო და სასკოლო სერტიფიკატები, მათ შორის TOEFL-ის სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს მის ინგლისური ენის ცოდნას. ინგლისურ ენაზე კითხვა და ტექსტების განხილვა წარმოადგენს მის ერთ-ერთ ძირითად ინტერესს.

ანა გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ორგანიზებულობითა და კომუნიკაციის უნარით. მას შეუძლია გუნდთან მუშაობა და ჯგუფური აქტივობების ორგანიზება, რაც მნიშვნელოვანია კლუბის ეფექტური ფუნქციონირებისთვის.
ანასთვის პრიორიტეტულია ისეთი კლუბის შექმნა, სადაც მოსწავლეები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრებს, იზიარებენ შთაბეჭდილებებს და კითხვის პროცესს აღიქვამენ როგორც სასიამოვნო და შთამაგონებელ საქმიანობას.